ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
სამომხმარებლო კრედიტის სესხის ხელშეკრულება #

თარიღი:

<u>კრედიტის საპროცენტო განაკვეთი</u>

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი %.
- კრედიტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი %.

<u>ფინანსური ხარჯები</u>

• ყოველთვიური შენატანი (ძირითადი თანხა, საპროცენტო სარგებელი)	--
• ვადის ბოლოს შენატანი	--
• კრედიტის გაცემის საკომისიო	ლარი
• ანგარიშიდან თანხის გატანის საკომისიო	
• ანგარიშის გახსნის საკომისიო	ლარი

<u>სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია</u>

• კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა და ვალუტა	--
• კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა	ლარი
• კრედიტის გასატანი თანხა ფინანსური ხარჯების გამოკლებით	--
• კრედიტის ვადა	
• საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა	0%
• საკომისიო კრედიტის წინსწრებით (ვადაზე ადრე) დაფარვისათვის ან სხვა ბანკის სესხით კრედიტის რეფინანსირებისთვის	
• პირგასამტეხლო კრედიტის ძირითადი თანხის ან/და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაბრუნების ვადაგადაცილებაზე	ერთჯერადად 10 (ათი) ლარი ვადაგადაცილების პირველ დღეს და ვადაგადაცილების მეორე დღიდან - ვადაგადაცილებული თანხის 0.5 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე არაუმეტეს

„კლიენტი“ „ბანკი“

_____ _____

ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-ისა. ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.. ამასთან, აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტეხლო.

მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ამ ხელშეკრულების 3.7 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, საპროცენტო განაკვეთი და ნებისმიერი სახის საკომისიო. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებების შესახებ, ცვლილებებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში,გარდა კლიენტის სასარგებლოდ განხორციელებული ცვლილებისა, ცვლილებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, კლიენტის ინფორმირება მოხდება ინტერნეტბანკის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეტყობინების გაგზავნის გზით. ასევე, შესაძლებელია კლიენტის ინფორმირება როგორც წერილობით, ასევე სხვა ტექნიკური საშუალებით (მაგ.: მოკლე ტექსტური შეტყობინება და ა.შ.).

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით მისამართზე customercare@pashabank.ge.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

„კლიენტი“ „ბანკი“

_____ _____

სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულება

ქ. თბილისი თარიღი:

ერთი მხრივ, **სს "პაშა ბანკი საქართველო"** (ს/ნ 404433671, მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N37მ, 0179, (032)2 222 525, info@pashabank.ge)(შემდგომში - „ბანკი") (შემდგომში "ბანკი"), წარმოდგენილი (პ/ნ) მიერ და მეორე მხრივ, შემდგომში "კლიენტი" ან/და "მსესხებელი" (პირადი ნომერი: , იურიდიული მის.: ----------, ფაქტობრივი მის.: ----------, ტელ.: ----------, ელ.ფოსტა: ----------), ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ბანკი გასცემს სასყიდლიან კრედიტს, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას დააბრუნოს იგი ამ ხელშეკრულებითვე გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულების (შემდგომში - „გენერალური ხელშეკრულება") განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება გენერალური ხელშეკრულების ყველა პირობა. მსესხებელი აცხადებს, რომ დეტალურად იცნობს, ეთანხმება და უერთდება გენერალური ხელშეკრულების (მასში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) ყველა პირობას, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე - https://www.pashabank.ge/ge/1207 .

2. კრედიტის ძირითადი პირობები

2.1. კრედიტის გაცემის თარიღი -

2.2. კრედიტის მთლიანი თანხა და ვალუტა - ლარი

2.2.1 მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა- --

2.2.2 კრედიტის ტიპი - საბანკო კრედიტი, სამომხმარებლო სესხი

2.3. კრედიტის ვადა -

2.3.1 საკრედიტო ხელშეკრულების ვადა - --

2.4. წლიური საპროცენტო განაკვეთი -

2.4.1 საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული

2.5. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი- %

2.5[1] ანგარიშიდან თანხის გატანის საკომისიო

2.5[2] ანგარიშის გახსნის საკომისიო

2.6. კრედიტის გასატანი თანხა ფინანსური ხარჯების გამოკლებით -

2.7. კრედიტის მიზნობრიობა - პირადი ხარჯებისთვის

2.8. კრედიტის და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაფარვის თარიღი - თვის რიცხვი

2.9. ყოველთვიური შენატანი (ძირითადი თანხა, საპროცენტო სარგებელი) - -- ლარი (ამასთან, კლიენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს არსებულ ან ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისას ინტერნეტბანკში განთავსებულ კრედიტის დაფარვის გრაფიკს)

2.9.1 ვადის ბოლოს შენატანი - --

2.10. პირგასამტეხლო კრედიტის ძირითადი თანხის ან/და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ვადაგადაცილებისთვის - ერთჯერადად 10 (ათი) ლარი ვადაგადაცილების პირველ დღეს და ვადაგადაცილების მეორე დღიდან - ვადაგადაცილებული თანხის 0.5% ყოველ ვადაგაცილებულ დღეზე არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-ისა. ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტეხლო.

2.11. საკომისიო წინსწრებით (ვადაზე ადრე) დაფარვისთვის ან სხვა ბანკის კრედიტით წინსწრებით დაფარვისთვის - 0% .

„კლიენტი" „ბანკი"

_____ _____

2.11.1. კრედიტის გაცემის საკომისიო ლარი

2.12. მსესხებლის მიერ საკრედიტო ვალდებულების დასაფარად შემოტანილი ან ჩარიცხული თანხიდან პირველ რიგში იფარება საკომისიო (ასეთის არსებობისას), შემდეგ დარიცხული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობისას), შემდეგ – კრედიტზე დარიცხული პროცენტი (მათ შორის, საშეღავათო პერიოდის განმავლობაში (ასეთის არსებობისას) დარიცხული პროცენტი) და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა. კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს აღნიშნული რიგითობა.

2.13კრედიტის წისნრებით სრულად დაფარვა არ მოხდება ავტომატურად, თუ კლიენტის ანგარიშზე არის აღნიშნულისათვის საჭირო თანხა. აღნიშნულისთვის კლიენტმა უნდა მიმართოს ბანკს.

2.14. კრედიტის დაფარვა უნდა მოხდეს კრედიტის და სარგებლის (პროცენტის) დაფარვის შეთანხმებული გრაფიკის (დანართი) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.15 თუ კლიენტი სარგებლობს სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტით და მის ანგარიშზე განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად დასაფარად, კლიენტი ვალდებულია ბანკს სამუშაო დღის ბოლომდე (18.00 საათამდე) აცნობოს წერილობით, ფილიალში, ინტერნეტბანკით ან ქოლ-ცენტრის მეშვეობით თუ რომელი ვალდებულების დაფარვა სურს უპირატესად, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიფარება ის ვალდებულება, რომლის ნარჩენი თანხაც ნაკლებია.

2.16. თუ ბანკი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება და გადახდას ექვემდებარება კრედიტის დაფარვის ვადაგადაცილების შემთხვევაში, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედებისა ან შეწყვეტისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების იძულებით ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობით დაფარვის მომენტამდე.

2.17. კრედიტის ნაწილობრივ წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია ნარჩენი ძირითადი თანხის გადანაწილება იმავე პერიოდზე ყოველთვიური შენატანის შემცირების გზით ან ყოველთვიური შენატანის იმავე ოდენობის პირობებში დარჩენილი პერიოდის შემცირება. თუ კლიენტი არ აირჩევს წინსწრების შესაბამის მეთოდს, ბანკი კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, შეცვლის/შეადგენს კრედიტის დაფარვის ახალ გრაფიკს, შემდეგი პრინციპის დაცვით: შემცირდება ყოველთვიური გადასახადი, ხოლო ვადა უცვლელი დარჩება.. სესხის წინსწრებით დაფარვისას გრაფიკის ცალმხრივად ან კლიენტის სურვილის მიხედვით ცვლილების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია, კრედიტი დაფაროს ბანკის მიერ შედგენილი ახალი გრაფიკის მიხედვით, რომელსაც უნდა გაეცნოს ინტერნეტბანკის მეშვეობით.

2.18. თუ კლიენტი დაარღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ პირობას ან/და ვალდებულებას, ბანკს უფლებამოსილია შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულება ან/და მოითხოვოს კრედიტის ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს დაბრუნება. ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დააყადაღოს ან მოახდინოს კლიენტის კუთვნილი უძრავ/მოძრავი ქონების, მათ შორის არამატერიალური ქონებრივი სიკეთის და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის რეალიზაცია.

3. სხვა პირობები.

3.1. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეცვალოს ნებისმიერი სახის საკომისიო ან/და წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა. ყოველწლიურად გადახედოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთის ოდენობას ან/და იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვლება საერთო ეკონომიკური ვითარება, ან გამოიცემა ნორმატიულ/ინდივიდუალური აქტი საფინანსო, საკრედიტო ან სავალუტო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით ან/და მოხდება სხვა სახის ნორმატივების, მოთხოვნების ან ლიმიტების ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი

პირობები, მათ შორის - საპროცენტო განაკვეთი, წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული წესის დაცვით.

3.2. ბანკის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის ცალმხრივად შეცვლის შემთხვევაში, ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შესახებ არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე, მოხდება კლიენტის ინფორმირება ინტერნეტბანკის, ელ.ფოსტის, წერილობით, SMS-ით ან/და სხვა ტექნიკური საშუალებით. კლიენტი უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს ბანკის მიერ შეთავაზებულ ცვლილებებს და შეტყობინებით განსაზღვრული 2 ან/და 1 თვიანი ვადის (იმის მიხედვით, ცვლილებები შეეხება ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებს, თუ სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდას) გასვლამდე სრულად დაფაროს ბანკის წინაშე არსებული დავალიანება. თუ კლიენტი არ ისარგებლებს ამ უფლებით, შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად. შეტყობინების ვალდებულება არ ვრცელდება კლიენტის სასარგებლოდ განხორციელებულ ცვლილებებზე. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი საკომუნიკაციო საშუალებებით კლიენტს ეცნობება ვადაგადაცილებისა ან სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების წარმოშობის, ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტის/შეჩერების, ასევე, კრედიტის შესაძლო გასხვისების შესახებ - ასეთი ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

3.3. ბანკის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში კლიენტს უფლება აქვს „მიმართოს ბანკს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებ-გვერდის (www.pashabank.ge) საშუალებით. პრეტენზიის ზეპირი ფორმით დასაფიქსირებლად კლიენტს შეუძლია ბანკს მიმართოს ნომერზე - (+995 322) 22 25 25. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებში. პრეტენზია განიხილება ერთი თვის ვადაში, მომხმარებელთა მომსახურების დეპარტამენტის მიერ. შესაბამისი გადაწყვეტილება კლიენტს ეცნობება დაუყოვნებლივ, წერილობით ან ელექტრონულად (კლიენტთან შეთანხმებით და/ან პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტურად). პრეტენზიის განხილვის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში და/ან დისტანციურად. პრეტენზიასთან დაკავშირებით კომუნიკაცია ხორციელდება ბანკის ელ-ფოსტის მისამართზე: customercare@pashabank.ge.

3.4. სს „პაშა ბანკი საქართველო“ (მისამართი - ილია ჭავჭავაძის გამზ. N37მ, ქ. თბილისი, საქართველო) შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

3.5. მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

3.6 კლიენტი უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება ბანკისათვის შეწყვეტამდე 1 (ერთი) თვით ადრე შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია, შეტყობინებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში სრულად დაფაროს ბანკის მიმართ არსებული დავალიანება.

3.7. მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში და ამ პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ:

„კლიენტი“ „ბანკი“

_____ _____

3.7.1 კლიენტს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაზე მისი დადების/ხელმოწერის მომენტიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის ათვლა იწყება: ა) სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულების დადებიდან; ბ) კლიენტის მიერ, ხელშეკრულების მიღებიდან, თუ ხელშეკრულებას მომხმარებელი მისი დადების შემდეგ იღებს.
3.7.2 კლიენტი ვალდებულია 3.7 ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში ბანკის ნებისმიერ ფილიალში ვიზიტით ან ინტერნეტ/მობაილ ბანკინგის მეშვეობით ან სატელეფონო სერვისცენტრთან (+995 322) 22 25 25 დაკავშირებით წარადგინოს განცხადება, რომელიც ასახავს კლიენტის გადაწყვეტილებას სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ. სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების დადგენილ ვადაში განხორციელების მტკიცების ტვირთი ეკისრება კლიენტს.
3.7.3 განცხადება სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე უნდა შეიცავდეს:

- სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულების გაფორმების თარიღს;
- სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულების ნომერს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- კლიენტის სახელს და გვარს;
- კლიენტის იურიდიულ მისამართს;
- კლიენტის ხელმოწერას;
- განცხადების დაწერის თარიღს.

3.7.4 კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხა და ამ თანხაზე კრედიტით სარგებლობის პერიოდის გამავლობაში დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი, ბანკისათვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა. კრედიტზე დარიცხული პროცენტი იანგარიშება ხელშეკრულებით შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. ბანკს უფლება არ აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, კლიენტისგან მიიღოს რაიმე სახის სხვა კომპენსაცია, გარდა ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისთვის დაწესებული საფასურისა ან/და სანოტარო ხარჯისა.

3.7.5 მიუხედავად 3.7 პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერისა, თუ რაიმე მიზეზით (მათ შორის და არა მხოლოდ, კლიენტის ანგარიშზე რეგისტრირებული სამართლებრივი ან/და სხვაგვარი შეზღუდვის არსებობის გამო) ვერ ხორციელდება კრედიტის თანხის ბანკისთვის დაბრუნება, კლიენტი ვერ იტყვის უარს საკრედიტო ხელშეკრულებაზე შესაბამისი თანხის ფარგლებში.

3.7.6 კლიენტის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია:

3.7.6.1 დაუბრუნოს კლიენტს, საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში კლიენტის მიერ გადახდილი ნებისმიერი სახის საკომისიო, პირგასამტეხლო და საპროცენტო სარგებელი, სრულად, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით ამ მუხლით გათვალისწინებული თანხები ბანკის მხრიდან დაბრუნებას ექვემდებარება მხოლოდ მაშინ თუ კლიენტი სრულად გადაუხდის ბანკს 3.7.4 პუნქტით გათვალისწინებულ თანხას.

3.7.6.2 დასაბრუნებელი თანხები დააბრუნოს გადახდის იმავე საშუალებებით, რომლითაც კლიენტმა ის გადაიხადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე თანხმობას განაცხადებს და მას დამატებითი ხარჯი არ წარმოეშობა.

„კლიენტი“ „ბანკი“

_____ _____

3.7.6.3 კლიენტის მიერ სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება 3.7.2 და 3.7.4 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების კრლიენტის მიერ სრულად შესრულების შემდეგ.

3.7.6.4. კლიენტის მიერ 3.7.4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შესაბამისი თანხის კლიენტის მიერ სრულად დაუბრნებლობის შემთხვევაში კლიენტი ვერ იტყვის უარს საკრედიტო ხელშეკრულებაზე.

3.7[1] წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები (დისტანციური არხის მეშვეობით შეთავაზებისას) მოქმედია კლიენტის მიერ დადასტურებამდე, მაგრამ არაუგვიანეს მიმდინარე დღის 17:00 საათისა. ამასთან, კლიენტსა და ბანკს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში - ინგლისურ ენაზეც.

3.8. ბანკი უფლებამოსილია:
3.8.1. კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, ინფორმაცია კლიენტის ვალდებულებების შესახებ და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია გადასცეს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, მათ შორის, სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“, რაც იწვევს კლიენტის აღრიცხვას საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მონაცემთა ბაზაში.
3.8.2. მიმდინარე ვალდებულებების შესრულების პერიოდში განახორციელოს კლიენტის საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე მისი გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.
3.9. კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე სრულად გაეცნო კრედიტით სარგებლობასთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო ფინანსურ ხარჯს, ინფორმირებულია კრედიტით სარგებლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების შესახებ და თანახმაა, გააფორმოს წინამდებარე ხელშეკრულება.
3.10. კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, ძიებების რაოდენობის შეუზღუდავად, დაამუშაოს მომხმარებლის (კლიენტის) შესახებ საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ებ)ში, მათ შორის, სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოში“ (ს/კ 204470740) დაცული ინფორმაცია.
3.11 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი განსახილველად და გადასაწყვეტად გადაცემა საქართველოს სასამართლოს.
3.11 ბანკის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგეს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2, 0114).
3.12 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად. ყოველ მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

„კლიენტი“ „ბანკი“

_____ _____